# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

## ხელშეკრულება N 13 05-07/13

ქ. ბათუმი 22 თებერვალი 2023 წელი

ერთის მხრივ „სსიპ ქ.ბათუმის N7 საჯარო სკოლა"(შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ-ის ამირან თურმანიძის სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში - მიმწოდებელი) შპს „პროვაიდერ.ჯი' ('ქალაქი ბათუმი, ერისთავის ჩიხი 2ა) მისი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია CPV- კოდი 39200000- ვედრო-224,70 ლარის, CPV- კოდი 39500000-ფეხის გასაწმენდი- 87,60 ლარი, შემდგომში საქონელი ხელშეკრულების პირობებისა შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს-312,30 (სამასთორმეტი ლარი 30 თეთრი) ლარს.

2.2. დაფინანსების წყარო: ბიუჯეტი

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ.

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი მედეა მიქელაძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში .

### 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია:ქ.ბათუმი.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება, ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

### 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში , 2023 წლის 22 თებერვლიდან 2023 წლის 25 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლა
ჰაიდარ აბაშიძის 30
სს,,ლიბერთიბანკი"
ს/კ 245429344
ბ/კ- LBRTGE22
ა/ა: GE45LB0121123505320000

------------------------------------

დირექტორის მ/შ: ამირან თურმანიძე

მიმწოდებელი:
შპს,,პროვაიდერ.ჯი"
ბათუმი

ს/კ-445427119
სს,,პროკრედიტბანკი"
MIBGGE22
GE13PC0193600100011836

------------------------------------

დირექტორი [illegible]

Salome Kikvadze 61001050902
Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2023.02.22 17:50:29

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

22 თებერვალი 2023 წელი

ქ. ბათუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა .ბათუმის N7 საჯარო სკოლისა და შპს „პროვაიდერ ჯი“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N13. 05-07/13(22.02.2023) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვედროებისა და ფეხსაწმენდის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სკოლის დირექტორის მ/შ: ამირან თურმანიძე

მატერიალური ტექნიკური

უზრუნველყოფის კორდინატორი: მედეა მიქელაძე

## ფორმა №3

(ხელშეკრულება №05-07/13 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

| № | საქონლის აღწერილობა | CPV | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ფასი | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვედროები | 39200000 | 6 | 37.45 | 224.70 | სსიპ N7 ს. სკოლა | 22.02-25.02.2023 |
| 2 | ფეხის საწმენდი | 39500000 | 1.2 | 43.00 | 51.60 | სსიპ N7 ს. სკოლა | 22.02-25.02.2023 |
| 3 | ფეხსაგები | 39500000 | 4 | 9.00 | 36.00 | სსიპ N7 ს. სკოლა | 22.02-25.02.2023 |
| | ჯ ა მ ი | | | | 312.30 | | |

შემსყიდველი
სსიპ #7 საჯარო სკოლა
დირექტორის მ/შ ________________
ამირან თურმანიძე

მიმწოდებელი
შპს„პროვაიდერ.ჯი"
________________
სალომე კაცაძე

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო

სკოლის დირექტორის მ/შ:

ბატონ ამირან თურმანიძეს

ამავე სკოლის ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის,

სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის მედეა მიქელაძის

# ს ა მ ს ა ხ უ რ ე ო ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის N01-03/120 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის" მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამევალა შესყიდვისას განსახორციელებელი ღონისძიების გატარება, კერძოდ ბაზრის კვლევა. გაცნობებთ, რომ ბაზრის კვლევა განვახორციელე ინვოისის გადმოგზავნის მეშვეობით, დავუკავშირდი ჩემ მიერ მოძიებულ სამ მიმწოდებელს და დავაფიქსირე ინვოისებში ნაჩვენები ვედროებისა და ფეხსაწმენდების ღირებულება. ყველაზე რეალური ღირებულება და ხარისხიანობა შემოთავაზებულ იქნა შპს „პროვაიდერ.ჯი"-ის მიერ. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ბაზრის კვლევის შედეგებს, რომელიც ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

| თარიღი | დრო | კვლევაში მონაწილის ვინაობა | შედეგები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 17.02.2023 წ. | ინვოისი 63139996 | შპს „პროვაიდერ.ჯი" | 312,30ლარი | ხარისხიანია და მისაღებია |
| 20.02.2023 წ. | ინვოისი 293 | შპს„რეტროფიტ" | 331.60ლარი | |
| 21.02.2023 წ. | ინვოისი 65 | შპს„პაპილონ ბათუმი" | 343.20ლარი | |

პატივისცემით,

სსიპ ქალაქ ბათუმის N7 საჯარო სკოლის სახელმწიფო შესყიდვისა და

მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი: [signature] მედეა მიქელაძე

209765 - 22.02.2023 წელი.

# ინვოისი

შპს პროვაიდერ.ჯი-provider.ge
საიდენთიფიკაციო კოდი.: 445427119
მისამართი:

თარიღი: 2/17/2023
ინვოისის №: 63139996
გადახდის ვადა: 0

**გადამხდელი: A10-სსიპ ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლა**
საიდენტიფიკაციო კოდი: 245429344
მისამართი: ბათუმი; აბაშიძის ქ. 30

| № | დასახელება | საზომი ერთ. | რაოდ. | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | VINDEX-ვედრო ტილო საწურით 392 | ცალი | 6.00 | 37.45 | 224.70 |
| 2 | 1*15 ფეხის გასაწმენდი რულონი მწვანე 395 | მეტრი | 1.20 | 43.00 | 51.60 |
| 3 | ფეხსაგები რეზინის 40*60 395 | ცალი | 4.00 | 9.00 | 36.00 |

| | |
|---|---|
| ჯამი (GEL) | **312.30** |
| ფასდაკლება (GEL) | **0.00** |
| სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით (GEL) | **312.30** |

**საბანკო რეკვიზიტები**

ხელმოწერა:

| | |
|---|---|
| მიმღები: | შპს პროვაიდერ.ჯი-provider.ge |
| ბანკის დასახელება: | პროკრედიტ ბანკი |
| ბანკის კოდი: | MIBGGE22 |
| ანგარიშის ნომერი: | GE13PC0193600100011836 |

# ინვოისი

დველი შპს რეტროფიტ

იდენტიფიკაციო კოდი: 445510395
ანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:
ანგარიში:

თარიღი: 2/20/2023
ინვოისის №: 293
გადახდის ვადა:

**გადამხდელი:** **სსიპ ქალაქ ბათუმის N 7 საჯარო სკოლა**
საიდენტიფიკაციო კოდი: 245429344

| № | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვედრო | ცალი | 6.00 | 39.00 | 234.00 |
| 2 | ფეხის დასადები | მეტრი | 1.20 | 45.00 | 54.00 |
| 3 | ხალიჩა 40*80 | ცალი | 4.00 | 10.90 | 43.60 |
| | | **ჯამი (GEL):** | **12.20** | | **331.60** |

[illegible]

# ინვოისი

დველი შპს პაპილონ ბათუმი

დენტიფიკაციო კოდი: 445525959
ანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:
ანგარიში:
გადამხდელი:

თარიღი: 2/21/2023
ინვოისის №: 65
გადახდის ვადა:

სსიპ ქალაქ ბათუმის **N 7** საჯარო სკოლა

| № | დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვედრო | ცალი | 6.00 | 40.00 | 240.00 |
| 2 | ფილის გასაწმენდი | ლიტრი | 1.20 | 46.00 | 55.20 |
| 3 | ღრუბლები | ცალი | 4.00 | 12.00 | 48.00 |

343.20

ს. ქუთნი